


1939/2

თქტომბერი

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



1939

24



ოქტომბრიკოვორა ბეკაძეთან

მეთვრამეტე პარტიკულაზაზე ოქტომბრელმა გოგონამ ტანია აბაქინამ თაიგული გადასცა აზნანტ სტალინს. აზნანტმა სტალინიც ალურსით აიფვნა იგი ზელში და დასვა პრეზიდენტის შავიდაზე.

შენც ასეველი ტრბუნასე,
ზატარა და ცუგრუშელა;
ვევლას თვალი გაუბრწუინდა,
ტაში გიძღვნა გულით ვევლამ!
შენც მიართვი თაიგული
უსაუკარლეს მია სტალინს, —
ვინც გაჩუქა, შეგავარა
მოგიზგიზე სსიფი სწავლის.
და ბელადიც გულმსურვალედ
შენ ალურსით მოგეფერა,
ამ ალურსში წკრიალებდა
მომაგადის მსხე სიმღერა.
კრემლსე ლალის ვარსკვლავები
უმატებენ თითქოს კიაფს;

შენი სმა და შენი სუნთქვა
გასაფსულის ჰგავდა ნიაფს.
იქით დარბაზს, აქეთ ლოქებს,
აქ ტრბუნის დიად კრებულს,
გამარჯვებულ სამშობლოთი
მოზეიმეს, ამღერებულს,
შენ აღუძარ, შენ — ვვაიღამა
მსიურ ფიქრთა ქარიშხალი,
ვინ არ იგრძნო, რომ სვალ, რომ სეგ
შენ იქნები გმირი-ქალი!
თვით ბელადის დიმილი და
საუვარელი სმა და ტაში.
მარად დარჩეს მშის დიმილად
ჩვენს ბედნიერ თაობაში!



საგონო ონაფი

5155

მეცვიამფრქვევი გოლიანოვი

მალალი გორაკის კალთაზე სასტიკი ბრძოლა იყო გაჩაღებული. ლეიტენანტ ლევიჩენკოს ასეული იაპონელების მთელ პოლკს იგერიებდა. ასეულის მებრძოლნი იაპონელებისაგან თავს ხიშტებით იცავდნენ. უეცრად იაპონიის ტყვიამფრქვევმა რაკრაკი დაიწყო. ასეულის მებრძოლთა შორის ბევრი მიწაზე დაეცა.

ლეიტენანტმა მებრძოლ გოლიანოვს უთხრა:

— მაგ ტყვიამფრქვევებს ხმა უნდა ჩავუწყვიტოთ!

— მესმის, ტყვიამფრქვევებს ხმა უნდა ჩავუწყვიტოთ! — უპასუხა გოლიანოვმა, რომელიც პირბადრი და წარმოსადეგი კაცი იყო, ასეულში საუკეთესო მეტყვიამფრქვევედ და ყუმბარის მტყორცნელად ითვლებოდა.

მას კარგად ესმოდა, რომ იაპონელ მეტყვიამფრქვევებს შეეძლოთ მთელი ასეული ამოეფლიტათ. აჩქარება იყო საჭირო. მაშინვე მოიხმო თავისი მეგობარი ბაცურა და ორივენი გაცოცდნენ ტალახიან მიწაზე. გადაწყვიტეს, რომ ამ

სახით იაპონელებისათვის გარს შემოეცლოთ და უკან მოქცეოდნენ. გოლიანოვმა თან ოთხი ყუმბარა წაიღო, ბაცურამ კი ხუთი.

ირველივე გრიალი ისმოდა. ჰაერში იაპონელების ყუმბარები სკდებოდა.

გოლიანოვი და ბაცურა, რაც — კი შეეძლოთ, მიწას მაგრად ეკვროდნენ და თანდათან წინ მიფოფხავდნენ. მებრძოლებს მხოლოდ ერთადერთი აზრი უტრიალებდა თავში: იაპონელებმა აღრე არ შეგვაშინიონო.

იაპონელები ჯერ ვერაფერს ამჩნევდნენ. ისინი თავიანთ ტყვიამფრქვევებს განუწყვეტილად ისროდნენ.

ამასობაში გოლიანოვი და ბაცურა ერთ საქაოდ ღრმა ლეღმდის მიფოფხავდნენ, ფონი მოუნახეს და წყალში შევიდნენ. წყალი ყელამდის სწვდებოდათ. ხელები მალა ეჭირათ, რომ ყუმბარები არ დასველებულიყო.

გაღმა რომ გავიდნენ, ისევ მიწაზე გაწვენ და ფოფხვა დაიწყეს. იაპონელების ერთი ყუმბარა იმათ ახლოს გასკდა და ორივეს იმდენი მიწა მიიყარა, რომ შიგ ჩაეფლნენ.

— ცოცხალი ხარ? — ჰკითხა გოლიანოვმა თავის მეგობარს.

— ცოცხალი ვარ, — უპასუხა ბაცურამ და თან მიწიდან ძვრებოდა.

კვლავ ფოფხვა დაიწყეს საშინლად გამურულებმა და ტალახში ამოგანგლულებმა.

ასე ბობღვით მიადწიეს საწადელს, იაპონელი მეტყვიამფრქვევები დაინახეს. ისინი ტყვიამფრქვევს ამოქმედებდნენ.

— ჩქარა ისროლე ყუმბარები, — უთხრა



გოლიანოვმა ბაცურას. ბაცურა ფეხზე წამოდგა, წელში გაიმართა და ხუთივე ყუმბარა ესროლა იაპონელებს. ყუმბარები საშინელის ხმით გასკდა, ირგვლივ მიწა და ტყვიამფრქვევის ნამსხვრევები გაიფანტა.

გოლიანოვიც წამოდგა და თავისი ოთხი ყუმბარა ესროლა იაპონელების დანარჩენ მეტყვიამფრქვევებს. იაპონელების ტყვიამფრქვევის ხმა აღარ ისმოდა. მტრის მეტყვიამფრქვევები დაიხოცნენ.

ამხანაგებმა ერთმანეთს გადახედეს.

— დამშვიდდნენ, — თქვა გოლიანოვმა. — დიდხანს ვეხსომებით. აბა ესლა კი საჩქაროდ ჩვენებისაკენ გაესწიოთ.

მეგობრებმა ისევ ცოცვა დაიწყეს და რაც შეეძლოთ სწრაფად ფოფხავდნენ.

კვლავ მიადგნენ მდინარეს და ფონში გავიდნენ. იაპონელებმა ესლა კი შენიშნეს და თოფის სროლა დაუწყეს. მებრძოლთა გარშემო ტყვიები ზუზუნებდა. ერთი მათგანი გოლიანოვის ფოლადის ზუნს მოხვდა. ბოლოს გამოფოფხდნენ უშიშარ ადგილას, სადაც იაპონელების ტყვია ველარ სწვდებოდა.

როდესაც გოლიანოვი და ბაცურა თავისიანებთან მივიდნენ, ბრძოლა უკვე გათავებული იყო, იაპონელები უკან იხევდნენ.

ამ ბრძოლაში დაჭრილმა ასეულის უფროსმა ამხ. ლევჩენკომ ორივეს მაგრად ჩამოართვა ხელი და უთხრა:

— თქვენისთანა კომკავშირელებით ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ!

თარგმანი პ. ბხნაზაროვისა.

გრიგორ სხსნაძე



რინა

თავზე ბანტით,
ხელში ვარდით,
მოდის ნინა
ზაწაწინა.

ჭრელი კაბა
ნინას შვეის,
მოხტის, როგორც
სუკრი შველის.

ვინც კი ხვდება
გსაში წინა, —
ვევლას მოსწონს
ხუნი ნინა.

ახალგაზრდა
და ბებური,

მასინჯი და
მძვენიური, —

ვევლა ტრფობით
უსქერს ნინას,
კონტა გოგოს
ზაწაწინას.

ქურდები

1

ოთარი იმათ შორიახლო იცნობდა. იაგორა შოფერს „მენშევიკსა“ და „ჯორს“ ეძახდნენ მეზობლები. ჯორს იმიტომ ეძახდნენ, რომ დიდი ყურები ჰქონდა და სულ წაფერხებული დადიოდა. აკაკია ბაცაყა კიდეც გაუსწორებელი ქურდი იყო. ძველი ცხოვრების ეს საშინელი სენი ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი ამ კაცს, ისე კი მხიარული იყო, მარდი, მოხერხებული, მუდამ იკრიკებოდა მელიასავით.

ერთ დღიას ოთარს, როცა სკოლიდან შინ ბრუნდებოდა, ტყიდან ხმაური შემოესმა. გაჩერდა. უცებ გვიმრებიდან აკაკია ბაცაყა გამოძვრა, სირაქლემას ნაბიჯებით გზა გამოიარა, ოთარს მოუახლოვდა, გაუცინა და უთხრა:

— ბიჭო, ოთარი ხარ შენი! რამდენი გძებნე, რომ იცოდე! თოფი არ გინდა, საჩიტე თოფი? წამოდი ჩემთან, ერთ პატარა საქმეს დავავალდებ. თუ გააკეთებ, ყველაფერი იქნება.

ხელი ჰკრა და პატარა ბიჭი ძალით შეაგლო ტყეში. მალე იაგორაც გაჩნდა.

— შენ ახლა დიდი ბიჭი ხარ, — მოხავერდებული ხმით ამბობდა აკაკია ბაცაყა, — მამაშენი არ გაგიწყრება, თოფი რომ შეიძინო.

— მე შევიძინო? სადა მაქვს ფული? თან მამაცარ დამანებებს... სწავლაზე ხელს შეგიშლისო, მეტყვის, — გულუბრყვილო გაკვირვებით წამოიძახა ოთარმა.

— დარდი ნუ გაქვს... ყველაფერს მოგიხერხებ... მხოლოდ... — განვედ შეჩერდა აკაკია, გაიცინა და სწრაფად განაგ-

რძო: — რამ შეგაშინა, ბიჭო! უფრო მარჯვე მეგონე მე შენ... ყური დამიგდე, რა გითხრა: ერთ პატარა საქმეს თუ შეგვისრულებ, მე თვითონ გაჩუქებ ჩემს თოფს. ხომ იცი რაფერია, ტარი ვერცხლით აქვს მოქედლილი... შენ კი ბევრი რამე შეგიძლია, ჩემო ოთარ. — ნაძალადევი სიცილით განაგრძო აკაკიამ — შენ გონებაშაზვილი ბიჭი ხარ... ტყუილა არ გაქებენ. ხუმრობაც იცი, ეშმაკობაც და სწავლაც. ბიჭი ასეთი უნდა... — შეჩერდა და ისევ განაგრძო: — წუხელ საღამოს ჩვენი კოლმეურნეობის მოლარეს, თქვენსა რომ ცხოვრობს, მე და იაგორა დავენიძლავეთ... იცი, რა გონიერი ქალი არის იგი? ვუუბნები: ქსენია, ჩვენ შეგიძლია შენ, ისე, მართლა კი არა, ხუმრობით, სალაროს გასაღები მოგპაროთ მეთქი. მას გული მოსდის და ასე გვეუბნება: არა, ამას თქვენ ვერ შეესძლებოთ. ჩვენ ნიძლავი დავლევით. პირობა ასეთია: თუ მოვპარეთ, ის მოგვეცემს 300 მანეთს, თუ არა და ჩვენ უნდა ვადავუხადოთ... ახლა რათ მინდა მე მისი ფული, არც გამოვართმევ, რომ წააგოს, მაგრამ ხომ იცი... ახლა ჩვენი მიზანია იმ გასაღების ხელში ჩაგდება... დიდხანს კი არა, ერთი საათით... მერე მე თვითონ დავუბრუნებ... ოთარ, ახლა ხომ გაიგე, რასაც ვავალდებ?

ოთარი სახტად დარჩა. ყველაფერი მოიგონა და გაზომა: კოლმეურნეობა „ჩაისუბნის“ მოლარე ქალი ოთარისას ცხოვრობს. გუშინ იგი რაიონში წავიდა, საღამოთი კი ოთარის მამამ თქვა: კოლმეურნეებს შრომადღეების ფული მოგვი-

ვიდაო. სალაროს გასაღები მოლარე ქალს აქვს. ოთარმა ისიც იცის, თუ საღ ინახავს.

— იცი, ბიჭო, ამ დანასაც გაჩუქებთ... თოფი... დანა... მეტი რაღა გინდა?! აგვის-რულე დავაღება... რას გაჩუქებულხარ?! ოთარმა ღიმილით აავლო თვალი

დანას. დაფიქრდა. ასე იყო რამდენიმე წამს. უცებ მისი სახე შეიცვალა, თვალები გაუბრწყინდა, წელში გასწორდა და სწრაფად მიუგო:

— მოვახერხებ... მოვახერხებ... მაგას რა დიდი ამბავი უნდა, მაგრამ...

— მაგრამ რა?!

— თუ მაგ დანას ახლავე მომცემთ... მაშინ...

ქურდები სახტად დარჩნენ. გაცემით გადახედეს ერთმანეთს: თავიანთი ბნელი საქმის ასე ადვილად მოგვარებას არ მოელოდნენ.

— თოფი არ მინდა... მხოლოდ დანა მომეცით... გასაღებს კი ხვალ დილით მოგიტანო...

— კარგი, — დასძრა ენა რამდენიმე ხნის შემდეგ იავორა ჯორმა. — შენ ჭკვიანი ბიჭი ყოფილხარ... ყოჩაღ... წაიღე ეს დანა...

თავზე ხელი მოუსვა, თეთრი ფულეები აჩუქა, დანა გადასცა და დაუმატა: — ხვალ დილით შენს სახლთან ჩამოვივლით... იმ წამსვე ჩვენთან გაჩნდი. გაიგე?

ოთარი სწრაფად წავიდა. ბაცაცამ თვალი გადადევნა ყმაწვილს, რომელიც

გვიძრებიდან ძლივს მოჩანდა, და ალტაცემით წამოიძახა:

— საუკეთესოდ მოეწყო ყველაფერი! ვერაფერი ვერ გაიგო... ალბათ, მართლაც ხუმრობა ვგონა.

— არა, — უპასუხა იავორა ჯორმა, — მე მაგ ბიჭი როგორღაც მაშინებს... ვაი თუ გავეტყვა... მაინც არაა ჩვენი საქმე კარგად... ხალხს ეძულვართ, აკაკია, გესმის, ხალხს. და თუ მაგ ბიჭს ეს საღმე წამოსცლა... მაშინ...

— შენ გგონია მე მაგას ვაცოცხლებ?! ერთი იმ სალაროს გასაღები მომიტანოს... მე რე მე ვიცი... მოვკლავ... მკვდარი კი ვერაფერს ვაძამხვს.

2

ოთარი სწრაფად გამოვიდა ტყიდან და კოლმეურნეობის კანტორისაკენ მოკურცხლა.

მარღად აირბინა კიბე, ოთახში შევიდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე მაგიდასთან იჯდა და რაღაცას წერდა. თავმჯდომარე ღიმილით დააკვირდა პატარა ბიჭს, რვეული და წითელი ფანქარი აჩუქა და დიდხანს, დიდხანს უსმენდა ოთარს.

3

ოთარი ვერ დაამშვიდა ბოროტგამზრახველთა საიდუმლოს გამხელამ. მთელი დღე მოუსვენრად გაატარა და საღამოთი ცუდად ივახშმა. ღამის ცხრა საათზე იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ წაიყვანა. კოლმეურნეობის კანტორაში ოთარს უცხო კაცი დახვდა. ეს იყო ნაღალი, წარმოსადგე ვაჟაკი, შინსახკომელის ტანისამოსი ეცვა და წელზე რევოლვერი ეკიდა. მშვიდი, მხნე და სასიამოვნო სახე ჰქონდა. ოთარს თანატოლივით გაუღიმა, მიესალმა, მეგობრულად ჩამოართვა ხელი და სკამზე მიუთითა. ოთარი დაჯდა:


— რომელ კლასში ხარ, პატარა? — ნელი ხმით ჰკითხა უცნობმა.

— მეოთხე კლასში გადავედი, ძია.

— როგორ სწავლობ?!

— ფრიადებზე... სულ ფრიადები მაქვს...





შინსახკომელმა შეაქო ოთარი, ქურდების ამბავი გამოჰკითხა:

— მართლა მოგცეს დანა?!

— მომცეს, ძია... ვანგებ გამოვართვი...— ოთარმა ფრთხილად ამოიღო დანა და მაგიდაზე დადო. უცნობს გაეცინა, აღფრისიანად შეხედა ყმაწვილს და ისევ ჰკითხა:

— რისთვის ამხილე ისინი? ოთარი დაფიქრდა.

— მე ყველაფერი გავიგე, ძია... რომ არ მეხშილა, კოლექტივის ფულს წაიღებდნენ, მოლარეს მოკლავდნენ...

რამდენიმე წუთს ისინი დაბალი ხმით თათბირობდნენ. ბოლოს შინსახკომელმა ასე მიჰმართა ოთარს:

— მაშ ასე, პატარავ... შენ იმათ გასაღებს მიუტან.. მაგრამ ჭკუით კი უნდა იყო...

ფეხზე წამოდგნენ. წასვლის დრო იყო. ოთარმა შეაჩერა ისინი.

— ძია... მეც აქ მამყოფეთ, ძია, როცა იმათ დაიჭერთ.. თუ გინდა, რევოლვერიც მომეცით...

უფროს ამხანაგებს გაეცინათ.

— არა, პატარავ, არა, — აღფრისიანი ხმით უთხრა მილიციის თანამშრომელმა ოთარს, — შენ რევოლვერი არ გინდა... ისე კი პირობას გაძღვევ, რომ შენც ჩვენთან იქნები, მაგრამ არა რევოლვერით, არამედ აი ამით, — ჯიბიდან პატარა კოლოფი ამოიღო, თავი ახალა, ფოლაქს თითი დააჭირა და ოთახში მარაოსავით გაიშალა სინათლე. ოთარი გაბრწყინებული თვალებით დააქებდა პატარა კოლოფს. ეს იყო ჯიბის ელნათურა.

ჩამავალმა მზემ თავისი ოქროსფერი სხივები უკანასკნელად შეაფრქვია საყორნიას მწვერვალს. დაღამდა, ცა ვარსკვლავებით მოიქედა. დაღამდა და კოლმეურნეობის კანტორაში სრული სიჩუმე გამეფდა. დარაჯიც კი დაითხოვეს ამ საღამოს.

ქურდები არა ჩქარობდნენ. მათი გეგმით ყველაფერი მოგვარებული იყო. მხოლოდ ის აწუხებდათ, რომ გასაღების გამორთმევის დროს ოთარს ვერაფერი მოუხერხეს. შუალამე რომ მოახლოვდა, აკაკია ბაცაცა აწრდილივით გამოძვრა გვირაბიდან, კატის ნაბიჯებით გადაიარა შარაგზა, ორსართულიანი შენობა შორიდან შეათვალიერა, გარშემო შემოუბრა, აივანზე ავიდა. ბნელოდა. სიჩუმე მეფობდა. ფანჯრიდან ოთახში შეიხედა. არაფერი არ ჩანდა. დარაჯი არსად იყო.

— „სულელები... უპატრონოდ მიუტოვებიათ ყველაფერი“ — გაიფიქრა დაცინვით ბოროტმა. დაუსტვინა. სტვენით უპასუხეს, და სიბნელეში ორი ლანდი გამოჩნდა. ფეხაკრეფით მოდიოდნენ. ჩქარა იბრძინეს კიბე. გაჩერდნენ. ნიაციკი არ იძროდა. ხალხის მტრები გაათამაშა სიჩუმემ. პირველად იავორა ჯორმა გააღო კარი. საღაროს გასაღები მოიმარჯვა. გაჩერდა.

— მარჯვედ, ბიჭებო, — ისინა ხმით ჩაულაპარაკა ამხანაგებს. რკინის საღაროს მიუახლოვდა, მძიმედ გააღო კარი. ქურდის ხელში ფულმა გაიშრილა, გაიშრილა, და უცებ მთელი ოთახი მარაოსებურმა მომწვანო სინათლემ განათა. ქურდები, როგორც ღამურები სინათლეში, დაბრმავდნენ, თვალებზე ხელები აიფარეს, ხოლო როცა გამოფხიზლდნენ, შემდეგი სურათი დაუდგათ თვალწინ: ბუხართან პატარა ბიჭი იღვავ, ხელში კოლოფი ეჭირა, რომლიდანაც თვალის დამბრმავებელი სინათლე გამოდიოდა. მარჯვნივ რომ მიიხედეს, იარაღმომართული შინსახკომელები დაინახეს.

ფარშავანები



შევხარი და ვერ ვშორდები,
ულამაზოდ ერთიც არ ჩანს.
მხიბლავს მათი მორთულობა,
მიმზიდველი ფერის ფარჩა.

გრძლად გაშლიათ ბოლოები, —
სილამაზე მათი სრული,
ოქროს ფერით, იის ფერით
მოხატული, დაწინწკლული.

გალიაში მიმოდინ
ცალცალკე და ხან წყვილწყვილად...
აღტაცებით ვინ არ უმზერს
და თვალეები არ უბრწყინავს!

სიოც, მკვირცხლად მომავალი,
სვლას ანელეებს ჩვენთან განგებ,
რომ ფრთები და ბოლოები
დაუკოცნოს ფარშავანგებს.

რად არ უნდა იწონებდეს
თავს პატრონი — ზოოპარკი:

სად ძებნა და სად იშოვა
ფრინველები ასე კარგი!

რა ბუდეში დაიჩვენენ,
ზომ არ ველო ცისარტყელა!
ნეტავ, სადმე ღია ცისქვეშ
დამანახა ერთად ყველა.

იყონ კარგად, მზე არ წვავედთ,
არც შეპყროდეთ სურდო-ხველა.
თამაშობდნენ, ხალისობდნენ,
ნავარდობდნენ მინდორ-ველად.

ჰქონდეთ მშვიდი მოსვენება,
უხიფათო ჰქონდეთ გავლა...
არც დასჭირდეთ არასოდეს
ბუჩქნარებში კრუნჩხვა, მალვა.

ამ ლამაზებს კბილის გაკერას
გაუბედავს განა მელა?!
რომ შეხედავს, თვალს დაატკობს
და ტყისაკენ წავა ნელა.



პეპელა

მინდორში ჭრელ ყვავილებთან ცხოვრობს პეპელა, მსუბუქი, ჭრელფრთებიანი და გრძელუღვარეობა. პეპელა მთელ დღეს ყვავილებთან ატარებს.

აი, მოფრინდა, წითელ ყაყაჩოს ზედ გულზე დააჯდა. ყაყაჩო ოდნავ შეირხა, ფოთლები კიდევ უფრო გადაშალა და საყვარელი დაიკო გულში ჩაიკრა. ცოტა ხანს იჯდა პეპელა ყაყაჩოზე, მერე ისევ აფრინდა, იქვე გვირილაზე დაჯდა და ტკბილი ტუჩები გაიღოკა.

ყაყაჩოს ეწყინა პეპელას წასვლა და დაიფურცლა.

ამ დროს დაპებრა სიომ და ხეს მოსტება პატარა გამხმარი შტო.

შტო პეპელას დაეცა და ფრთა მოსტება. საბრალოს ფრენა აღარ შეეძლო, ტკივილი მეტად აწუხებდა.

— მიშველეთ, წამიყვანეთ ჩემ სახლში, ხის ფულტუროში, ფრთა მომტყდა, ფრენა აღარ შემიძლია, — სთხოვდა პეპელა მეგობარ მწერებს.

— ბზზ... ბზზ... ბზზ...

მიფრინდა ბუზი, პეპელას დახედა და მიაძახა:

— ბზზ... ბზზ... ბზზ... შენ წასაყვანად, სადა მცალია, ჯერ არემარე არ მომივლია, ძალიან მშია.

მიაძახა ბუზმა და გაფრინდა.

დარჩა მარტო პეპელა და კვლავ სთხოვდა მეგობრებს შველას:

— მიშველეთ, წამიყვანეთ ჩემ სახლში, ხის ფულტუროში, ფრთა მომტყდა, ფრენა აღარ შემიძლია.

მივიდა მკვებარა ხოჭო. მაგარი ფრთები შავად უღალაპაპებდა და მრგვალ მუცელს გაჭირვებით მიათრევდა. პეპე-

ლას მზრუნველობით გაუსინჯა ფრთები და უთხრა:

— ნუ გეშინია, მხარს თუ არ გაანძრევ, ჩქარა მოგიჩვენებ. რომ არ მეზარებოდეს, მე წაგიყვანდი. წაგიყვანს ვინმე, დაიცადე.

გაფრინდა ხოჭოც, პეპელა კი კვლავ შველას ითხოვდა.

— მიშველეთ, წამიყვანეთ ჩემ სახლში, ხის ფულტუროში, მეშინია, ქარია და წვიმა.

უცებ პეპელას ბალახის შრიალი შემოესმა.

— სკუპ... სკუპ... სკუპ...

მივიდა კალია — მწვანე, გრძელფეხება, სიფრითანა ფრთები.

— რა დაგემართა, ფრთა მოიტეხე? ისწავლე ჭკუა, როცა ყვავილზე ჯდები, ფრთები უნდა დაკეცო. აბა მე მიყურე, გადახტომას რომ ვაპირებ, ფრთებს მაშინ ვშლი; როდესაც პურის თავთავზე საქმელად ვჯდები, ფრთები დაკეცილი მაქვს. არაფერია, ჭკუას ისწავლი, — უთხრა კალიამ და გაფრინდა.

საბრალო პეპელა კვლავ შველას ითხოვდა:

— მიშველეთ, წამიყვანეთ ჩემ სახლში, ხის ფულტუროში, ფრთა მომტყდა, ფრენა აღარ შემიძლია.

აი მოფრინდა ფუტკარი.

— ბზ... ხ... ხ... ვინ არის, ვინ ითხოვს შველას? ფრიალა, ფრთა მოიტეხე? შეცოდები. ცოტა ხანს მოიცადე, მარტო მე ვერ წაგიყვან, ფეხები ყვავილების მტკრითა მაქვს გასვრილი, პირი კი ტკბილი წვენიით მაქვს საესე. წავალ, სკაში დაეტოვებ ყველაფერს და თან ფუტკრებს წამოვიყვან.



— არ დაიგვიანო, ქარისა და წვიმის მეშინია.

— ნუ გეშინია, ეხლავე მოვალ. გაფრინდა ფუტკარი. პეპელა კი ფიქრობდა: — ყველაზე კარგი მწერი ფუტკარია, გონიერი, გამრჯე, აგროვეებს ყვავილების გულში დაგროვილ ტკბილ წვენს თაფლისათვის.

ამ ფიქრში იყო პეპელა, რომ მოფრინდნენ ფუტკრები: ერთი, ორი, სამი, ოთხი... პეპელას ფრთებში ამოუდგნენ და გაფრინდნენ ფულუროსაკენ.

— ეხლა აღარ მეშინია, — თქვა პეპელამ.

— ეი, შენ, ობობავ, — დაუძახა ფუტკარმა ობობას, რომელიც ქსელთან მიმალულოყო და ელოდა, როდის გაებოდა რომელიმე სულელი მწერი მის ქსელში, რომ გამოეწუნა და გამაძარიყო. — მოცილდი ამ ხეს, ჩემმა თვალებმა არ დაგინახოს აქ!

ფუტკრებმა პეპელა მზრუნველობით ხის ფულუროში შესვეს და უხაროდათ, რომ ტკივილს აღარ გრძნობდა. ყველა უვლიდა ქრელფრთებას, ის კი ავიწყდებოდათ, რომ პეპელა ჩქარა დაიძინებდა, გამოიფიტებოდა და აღარ გაიღვიძებდა.

პაჩკრა ქიმი



ავადა ჩვენი ცუგა,
 არ თამაშობს, აღარ ცმუკავს,
 აიჩემა კუთხე ტახტის,
 არ სცილდება,
 აღარ დახტის.
 აღარ ურბენს ეზო — კარებს,
 საჭმელს პირსაც არ აკარებს,
 ვეღარ იტანს, ალბათ, ტკივილს,
 წუწუნებს და შემოგვტირის.
 ცუგას კარგი მეგობარი
 მერაბიკოც აქვე არი,
 აღარ დასდევს კვიპატ რეზოს,
 ცრემლით თვალი ამოევსო,
 არცა მღერის, არცა ცელქობს...
 მოიწყინა სახლმა, ეზომ
 ფიქრობს: „რა სქირს ცუგას, ნეტავ?
 ვაი თუ კვდება, ვაი თუ კვდება...
 ცელქი როა და თამაშა,
 მოახვედრეს, იქნებ, მაშა?
 წუწკია და ღორმუცელა...
 (დაიწეწკა, იქნებ, ენა?)
 რომ აჯავრებს მუდამ კატას,
 იქნებ, სახე დააკაწრა...

ან ცხელ ქვაბში ჩაპკრა პირი,
 დაწევა და მიტომ ტირის?“
 დატრიალებს აქვე თინა,
 ცუგრუმელა პაწაწინა,
 მას ნაალი გაუფინა,
 მზრუნველობით დააწვინა.
 ფრთხილად უხელს ფინას გვერდებს,
 თან ძამიკოს აიმედებს:
 „მართალს ვამბობ, არა გჯერა?
 დედიკო არ მომიკვდება,
 ეგრე იყო გიას მურაც,
 ბაბღია და ყურპანტურა,
 სწორედ ძლიერ ავად ჰყავდათ,
 აღარაფერს აღარ ჰამდა,
 არც დახტოდა, აღარც ყფედა,
 მაგრამ მორჩა, მოიკვთა.
 მორჩა მზიას თეთრი კატა
 (სასიცოცხლოს არა ჰგავდა),
 მორჩა თადეს ხბო — კუნტრუმსა.
 მაშ ჩვენს ცუგას რალა უშავს?
 აგერ მოვა მალე მამა,
 გამოუწერს ფინას წამალს,
 წამოხტება ჩვენი ცუგა
 და მოჰყვება ისევ ცმუკვას“.



„ეჰ! რა ესმის, ნეტავ თინას?
 ბრიყვი არის და ტიტინა.
 განა მამა ხალხს რომ არჩენს,
 ცუგრიკოსაც გადაარჩენს?“
 დაიკოს კი ეუბნება:
 „იცი, თინა, ვფიცავ დედას,
 ვფიცავ მამას, ვფიცავ ბების,
 როცა ღილი გავიზრდები,
 დავამთავრებ როცა სკოლას,
 შევიქნები მამის ტოლა,
 გადვიკითხავ ღიდ-ღიდ წიგნებს:
 ვეტ-ექიმი გავხდე იქნებ...“

და მოვარჩენ მაშინ ყველას;
ყურცკვიტას და კულაქრელას,
იხვებს, ბატებს, ინდაურებს,
გარეულს და შინაურებს“.
მიუჩოჩდნენ ცუგას თბილად
აქეთ მერაბ, იქით თინა,
გაიტაცათ ფიქრმა ტკბოლმა
და კიდევაც ჩაეძინათ.



— რიგრიგობით, ბატონებო!
ყველა ერთად არ იქნება,
რომ არა მაქვს დრო და მოცლა,
თქვენც ხომ ხედავთ? არა გჯერათ?
რომ დაგნიშნე კარისკაცად,
ფისო, წესრიგს უნდა დაცვა.
თუ არ შესწავვეტ, გოჭო, ჭყვივლს,
რით გავუგებ ცუგას ტყვივლს?
იქნებ გაჭკრა გვერდში ჭვალღი
და იმიტომ ასე წკავის?
ცუგა ჩემო! აბა მითხარ:
რას უჩივი, ავად რით ხარ?
— „ჰამ, ჰამ, ჰამ, ჰამ“...
რაო? ღორმა
ორლობეში გაგაგორა?
მერე, ეგრე როგორ წახდი?
მიგჩეჩქვა და ავად გახდი?
აჰა, შენ ეს სკიპიდარი,
დაიზილო უნდა ტანი;
თუ ჩათბები, ოფლს მოიღენ,
ტყვივლები უმალ გიტევს.

ოჰ, მობრძანდი, ციკუნიაე!
ავად ხარ?
— „მიაუ, მიაუ“.
ფისო! ასე რადა სუნთქავ?
საქმელებს სკამ, ალბათ, მსუქანს.
გულის ძგერა არ გაგვივლის,
თუ არა სვი წვეთი ნივრის.
მსუნაგობას უშვი ხელი,
არ დაგერთოს ქლექი ყელის.

აბა! გოჭო! რასა ჭყივი?
წყნარად მითხარ გასაჭირი.
რა გაწუხებს? კუჭის აშლა?
მოგაბრუნოს, იქნებ, ვაშლმა.
(ეგრე იყო ჩვენი თინაც,

გახსოვს, ვაშლმა მოარჩინა).
სკამე სუფთად, წკაპით, ზომით,
ნუ იქნები მართლა ღორი.
წყალს ერთდგე მოუხარშავს,
და გაგივლის კუჭის აშლა.

ბატო! რატომ არ ყიყინებ?
რად ჩაფიქრდი, მოიწყინე?
დილით ბევრი სოკო სკამე
და იმითი მოიწამლე?
ფიქრი ნუ გაქვს, გენაცვალე!
მოკეთდები, ბატო, მალე.
ისეთ წამალს გამოგოწვრ,
ტყვივლები უმალ გიტევს“.

ახმაურდა ქუჩა, ეზო,
შურით უტყერს მერაბს რეზო,
ავადმყოფთა დგება რიგი,
ზოგი მოდის, ზოგი მიდის.
დატრიალებს მარდად თინა,
მერაბს შველის კოხტად, ფრთხილად.
შველის, მერე როგორ შველის?
ექთანობა ძლიერ შვენის.

ცხრა მთას იქით ხმა გავარდა,
მთა და ბარი ფეხზე დადგა,
ყველა იცნობს განთქმულ ექიმს,
მეროს ქება ვის არ ესმის?
ტყის მცხოვრებმა ერთად ყველამ
მელა-კუდას სთხოვეს შველა.
წამოვიდა მოციქულად
და ქისკართან კრძალვით დადგა.

აკრიახდა კრუხ-წიწილა,
იქ ყვინჩილამ მიაყივლა...
აყაყანდა ეზო მთელი:
„დღე დაგვიღდა საშინელი“.

წამოვარდა მერაბ ხელად
და ეზოში ვისა ხედავს?
ჩაახველა წყნარად მელამ
და დაიწყო ნელანელა:
„ვინ არ გიცნობს შენ, დიდ ექიმს,
შენი ქება ვის არ ესმის?
მოაღწია ჩვენთან ხმებმა,
რომ მომაკვდავს არჩენ ხელად.
ჩვენი მხარე ფეხზე დადგა...
გამომგზავნეს მოციქულად:
შენ, დიდ ექიმს, გთხოვენ შეველას.
ჩვენი წვევა ნუ გაშინებს!
დავეკვიანდით, ვფიცავ შეილებს“.
კრძაღვით თავი ძირს დახარა,
როგორ ეტყვის მერაბ „არასა“?
უპასუხა: „კარგი, წადი,
ვისაცა ვსურთ, აქ მობრძანდით,

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ა. კანნიკი

აბაკურა



თქვენ გგონიათ მე პეტია ვარ? არა,
მე ეშმაკუნა ვარ, ასე მითხრა პოლკოვ-
ნიკმა. აი, თქვენ არ გჯერათ, და მე იმას-
თან ერთად მანქანით ვიმგზავრე. პიონე-
რულ სიტყვას ვიძღვევი, რომ იმასთან
ერთად ვიმგზავრე. ახლა მოგიყვებით, რა-
ში იყო საქმე.
ერთხელ მე ტყეში მარწყვს ვაგროვე-
ბდი. ვხედავ, ბილიკზე ბებერი ქალი მო-
დის, იკუზება და მიწაზე ხელებს აფათუ-
რებს. ვეკითხები:
— ბებია, ბრმა ხომ არა ხარ?
ის მეუბნება:

მოლოდ ტყეში ნუ მთხოვთ მოსვლას:
რა ვქნა, არ მაქვს წამით მოკლა“.



და იმ დღიდან იწყო დენა
ავადმყოფმა რამოდენამ,
მოდინა და რიგში დგება:
დათვი, მგელი, ტურა, მელა.
მიემატათ შინაურიც:
გოჭი, ბატი, ინდაური...
მოსაცდელში ვინ არ არი?
გასდის მერაბს ოფლის ღვარი.

მელას მოჰყავს მელიკუნა,
მელიკუნა თვალებს წყურავს.
„ავადა მყავს პაწაწინა,
ბატის ბუმბლმა თუ აწყინა...
გაუსინჯე პაწას ყელი,
გაღარჩენას შენგან ველი.
გასამრჯელოდ — ეს დედალი...
არ მოვპარე, ვფიცავ, არვის,
მოყვანილი ტყიდან არი,
არ მოგიკვდეს ჩემი თავი“.

— ჰო, შეილო, ბრმა ვარ.
— ხომ არ გაგაცილო?
— გამაცილე, შეილო.
— სად წაგიყვანო?
— მდინარეზე წამიყვანე, ვიბანავებ.
მოვკიდე ხელი და მიმყავს. ბებიას ღი-
ლი და ბანჯგელიანი ხელი აქვს. ვფიქ-
რობ: „ეს როგორი ბებიაა? ამისთანა აქ
არასოდეს არ მინახავს. ნეტა ვინაა? ან
აქ როგორ მოხდა? აი, მას ბანაობა უნდა,
მდინარის ნახევარი ჩვენია, ნახევარი კი
საზღვარგარეთის. ბრმა ხომ ვერ დანა-
ხავს, რომელია ჩვენი და რომელი საზ-“

ღვარგარეთის. გადავა სხვისაზე. როგორ შეიძლება იმისი მდინარეზე გაშვება? შეიძლება ბებია ბრმაც არ არის? ამას შემოწმება უნდა“. მე ის ვნახე ბილიკზე, აქ კი ორივე მხრით ქაობებია. კარგი. მიმყავს ბებია. „როგორ შევამოწმო, ბრმა არის თუ არა?“ და მოვიგონე. ტყეში ფლატე არის. მივიყვანე ბებია ფლატეს პირთან. ვფიქრობ: „თუ ის ვერაფერს ვერ ხედავს, არ შეეშინდება, და თუ ხედავს, უკან დაიხვეს“. მივედით ფლატეს პირთან. ბებია ეს-ეს არის გადავარდება ფლატეზე.. მე მინდოდა უკვე გამეჩერებინა, იმან მაგრად მომიჭირა ხელი და თვითონ გაჩერდა „შენ ბრმა სრულეებითაც არა ხარ!“ – გავიფიქრე გულში, მაგრამ არ შემომჩინებინებია და ვუთხარია:

– ნუ წყურები, ბებია, დავიბენი. ის მეუბნება:
– არაფერია, შვილო, წამიყვანე მდინარეზე.

მეც მივიყვანე ბილიკზე და ვუთხარია:
– ბებია, ბილიკით უფრო შორს არის, პირდაპირ წავიდეთ.
– კარგი, შვილო, პირდაპირ წავიდეთ, შენთან არ მეშინია. – მე შევიყვანე ქაობში, და ის წელამდის ჩაეფლო. მე კი არ ჩავეფალი: მე პატარა ვარ და მჩატე. ჩაეფლო და ამოსვლა აღარ შეუძლია. აბრიალებს თვალებს და იგინება, ის ბებია სრულეებითაც არ არის, იგი ზორბა ბიძიაა, ხმაც ბოხი აქვს. ვფიქრობ: „საყარაულოზე უნდა გავიქცე, „ბებია“ აქედან ვერ ამოვა“.

„ბებიას“ აღმოაჩნდა მალხერი და ნახატები. ეს „ბებია“ ჯაშუში იყო. პოლკონიკმა მაშინ მითხრა, რომ მე ეშმაკუნა ვარ. თქვენ გგონიათ მე პეტია ვარ? მე ეშმაკუნა ვარ.

რუსულიდან თარგმნილი მე-14
საშ. სკოლის მე-4 კლასის
მოსწავლის რეზო თაბუკაშვილისა.

რ. თომაშვილი

მსაჯურება

ჩვენი გუგა რუსთველს ხატავს, უშანგი კი ტარიელსა, ქეთო ნესტანს აკულებს, კვლავ თინათინს მიჰყოფს ხელსა.

ფრიდონი და ავთანდილიც ვაქცატურად მოუკაზმავთ, დად ნაფიცი შაოსანიც იყურება დინჯად ასმათ.


დათოც მხატვართ წრეში შრომობს, ვით დამწყები ის მიიღეს,

ნიკო – ერთი კალმის მოსმაც – და აიღებს ქაჯთა ციხეს.

ასე „ვეფხისტყაოსანი“ იმკობა და სურათდება, და პატარებს, ვით ხელოვანთ, გაუშლიათ შეჯიბრება.

თოიძეს და გუდიაშვილს სახე უღიმ-უბრწყინდებათ: მომავალნი თუ აჯობებთ, ეს არც იმათ ეწყინებათ.

საბავშვო



ეს ზამთარი
კვლავ მზად არი,
ტანი უთრთის,
ყინულიან გრძელი კუდით
აიბარგა განთიადზე,
ფეხი დაჰკრა მაღლა მთაზე,
გაიპარა გარეკრაჟზე.
ტყე-მინდორი გაღიარა
და წავიდა ასე წყნარად.
მშემ ღიმილით მთის იქიდან
სხივ-სალამი გადმოჰკიდა.
დაიმღერეს ჩანჩქერებმა,
იგრიალეს ძირს ხეებმა.
კვლავ აივსო სიხარულით:
ტყე, მინდორი, ველი, ყანა,
რომ მოვიდა გაზაფხული,
თან სიციცხლე მოიტანა
და აავსო მთლად ქვეყანა.



ბაყაყი არ იგვიანებს,
შეიღება ზურგი მწვანედ,
ეს ბებერი თავუნიაც
სამკურნალოდ გაემართა,
რომ კბილები მოირჩინოს,
ის ექიმთან მიდის მართლა.
იციხ, მაღე, საცა არის,
კვლავ ზაფხული მოვა ისევ,
თან ხორბალიც ენატრება
და ასე გულს იხალისებს.

ღამეში ციციხათელამ
აქ ნაპერწკლები დაჰყარა,
ნავთი გულმკერდში ჩაისხა,
სინათლე ჩამოატარა.
ფუტკარმაც ფრთები გაშალა,
საით გაფრინდა, ნეტარა?
მტრისათვის მზად აქვს მახვილი
და ალესილი ნესტარი.

განთიადზე მინდვრის კიდეს
ეს მიმართვა ჩამოჰკიდეს:
— „თუ მზადა ხართ ერთად ყველა,—
ჩქარა, ჩქარა, სწრაფად, ხელად
ჩვენს გაზაფხულს და სიხარულს
დღეს ზემით შევხვდეთ ყველა!“
როს მიმართვა ყველამ ნახა,
მსწრაფლ შეუდგნენ საქმეს ახლა.
იქ პეპელამ კარგ მხატვართან
დაიქრეღა ღამაზად ფრთა.

ხოკო ხალისით ტრიალებს,
მის ზურგზე მზეც კი პრიალებს,
კოლოც აქ არის, იპოვა
თავისი ფრთების მკერავი,
ზეიმზე უნდა მოვიდეს,
მას ვერ მოასწრებს ვერავინ.

შეიმოსა ბალ-მინდორი
ყვავილებით ბრწყინვალედ,
მთიდან ბარში მოჩოჩოხუბებს
ნაკადული, მდინარე.
თან პაერში აგრიალდა
ტკბილი მღერა ბავშვების:
— გაზაფხული მოვიდა,
გაზაფხული მოვიდა
მწვანე მთების კალთებით.



ვიშ, კეკლუკო გაზაფხულო,
რა კარგია შენი მოსვლა,
გულს ატყვევებ, და სიმწვანით
ჩვენი გულიც შეიმოსა.

თარგმანი სანდრო შლენდინსა.


მეშინდვრე ჭ მეჭოგე ჭიანჭველები



ჭიანჭველები ცნობილი არიან იშვიათი სიბრძნითა და გონიერებით. მათი საზოგადოებრივი ყოფაცხოვრება, შრომის ურთიერთგანაწილება, მომავალ თაობაზე ზრუნვა, საზრდოს მოპოებისათვის გამოყენებული ღონისძიებანი გასაოცარი მახვილობით ხასიათდება. ჭიანჭველათა 1250-ზე მეტი სხვადასხვა სახე არსებობს.

ჭიანჭველები საუკეთესო მიწათმოქმედებად და მეჯოგეებად ითვლებიან. ამერიკის ჭიანჭველები საკირველი დაკირვეებით თესვენ ე. წ. ჭიანჭველის სოკოსა და ბრინჯს. ისინი ოსტატურად ხნავენ და სათანადოდ აფხვიერებენ ნიადაგს, ანაყოფიერებენ თავისებური სასუქით და შემდეგ იწყებენ აღნიშნულ მარცვლეულთა თესვას. ამოსულ ჯეჯილს ისინი დიდი სიყვარულითა და მზრუნველობით დასტრიანებენ თავს, აკლიან ბალახ-ბულახს, უსუფთავენ ძირებს სარეველა ბალახისაგან და სხვა. როცა ჯეჯილი მწიფე მარცვლებით დაიხუნძლება, ჩვენი მეურნენი გულმოდგინედ იწყებენ ჭირნახულის მომაკას. ისინი მარცვალს კრეფენ, ანდა ღეროს თიბავენ მჭრელი პირით და შემდეგ ბუდის წინ იწყებენ მარცვლის გარჩევასა და დასუფთავებას. ჭიანჭველები მოწვეულ ჭირნახულს სამად ანაწილებენ: ერთ ნაწილს ყოველდღიური საზრდოსათვის ხმარობენ, მეორე ნაწილს საგანგებოდ მოწყობილ ბეღელში ინახავენ, დანარჩენს სათესლე მარცვლად იყენებენ. საყურადღებოა, რომ ჭიანჭველები ისე მოხერხებულად ინახავენ მარცვალსა და ზამთრის სხვა სურსათ-მარაგს, რომ არასოდეს არ უფუჭდებათ, მათ იციან თავის დროზე მისი გამწვურება, მოვლა.

ჭიანჭველები კარგ მეჯოგეებად ითვლებიან, მათ ჰყავთ ჩინებული „ძროხები“, რომელთაც ადამიანები ფოთლის ტილს უწოდებენ. ბაწია მლიღებს გამოწვედილი აქვთ ორი მილაკი, ანუ ძუძუ. საკმარისია ჭიანჭველა წვერებით სამჯერ შეეხოს მლიღს ამ მილაკებზე, რომ მყისვე გამოიყოს ტკბილი სითხე. ჭიანჭველებს ძლიერ უყვართ თავიანთი ძროხის რძე, როგორც კი გზაში მათ მოახვლობენ, მყისვე წველიან და შემდეგ გაუღდებიან გზას. ისინი ბევრს ზრუნავენ იმაზე, რათა „ძრო-




ხები“ კარგ სამოვარზე გარეკონ, რათა უზრუნველყოფილი იყვნენ მსუყე, გემრიელი რძით. ფოთლის ტილი მცენარე ზიზილათი და ასკილით იკვებება. ციკქნა ჭიანჭველებმა კარგად იციან ეს გარემოება და არასოდეს თავიანთ ძროხებს არ დასვამენ სხვა მცენარეზე. ამით არ განისაზღვრება ჭიანჭველების ზრუნვა თავიანთ ჯოგზე. ისინი მათ მშვენიერ ბრთვისებურ გამურს უშენებენ თიხისა და ნერწყვისაგან; ფოთლის ტილი საესებით უზრუნველყოფილია ქარისა და წვიმისაგან, მას საჭირო დროს შეუძლია თავი შეაფაროს თავის სადგომში. შემოდგომაზე ფოთლის ტილები კვერცხებს დებენ. ჭიანჭველები ამ კვერცხებს ბეჯითად მიიჩნეალებენ განსაკუთრებულ შენობაში, მათ ისე უფლიან და მეთვალყურეობენ, როგორც საკუთარ კვერცხებს, ხშირად უცვლიან ადგილს, გარეთ გამოაქვთ ჰაერზე, ამზიურებენ, რათა არ დანესტიანდეს და სხვა.

ე. წ. ტყის ბაღლინჯო ჭიანჭველას ცხენად ითვლება, ყველაზე მძიმე ბარგს, რომლის დაძვრაც ჭიანჭველებს არ ძალუძთ, ამ საბრალო მწერს აპკიდებენ და

ისე ამუშავენ თავიანთ სასარგებლოდ, როგორც ჩვენ ცხენს ან ჯორს. ტყის ბაღლინჯო გამძლე და ლონიერი მწერია, მაგრამ ჩვენი ვირივით ზარმაცი და თავნებაა. ჭიანჭველები, აიძულებენ რა მას ათრიოს რაიმე ბარგი, თვითონ დიდი ყოფით გვერდში მიჰყვებიან და ზანტად სიარულის შემთხვევაში აქეთ-იქით კბენენ და ამგვარად მიაქნებენ. ტყის ბაღლინჯოს არ მოსწონს ჭიანჭველათა სამსახურში ყოფნა, მაგრამ აბა ძალასთან რას გააწყობს! რა თქმა უნდა, როცა მარჯვე დროს პოულობს, ის არ აყოფნებს ხელიდან გაუსხლტეს მამეზარ მებატონეთ. ჭიანჭველები თავიანთ სადგომში ბინას აძლევენ ერთგვარ ხოქოს. ეს უკანასკნელი მათ სჭირდებათ საჭირო დაკლანილი ფართე ხერცხლ-გზების გასაკეთებლად ბინის გარშემო. დასასრულ ჭიანჭველები თავის შექცევისა და გართობის მიზნით დიდი სიამოვნებით აძლევენ ბინას ერთ ციკქნა ფრიალ ლამაზ მუმლს. პაწია, უდარდელი, მარად ცელქი, მოთამაშე ხოქუნა ისე ართობს ჭიანჭველებს, როგორც ადამიანს ოთახის პატარა ბათურა ძაღლი.

თამარ იხსნალი



ო, გაზაფხულო, რარიგ მოგვლით, განა მარტო მე — ბავშვები, ყველა, გვიყვარს ჩვენ შენი ტანისამოსი, გვსურს დავიჭიროთ ქრელი პეპელა.

ეგ შენი კაბა, კაბა ფერადი, გვასწავლე ჩვენცა, ვინ შეგიკერა? ბევრი მინახავს კაბა ლამაზი, მაგრამ შენებრი ვერ ვნახე ჯერა.

შენს სილამაზეს, მშვენიერებას მუდამ თან ახლავს სურნელოვნებაც. ო, გაზაფხულო, რარიგ მოგვლით, არა მარტო ჩვენ, ფრინველთა კრებაც!

მოხვალ, შეგხვდებით სიცილ-კისკისით, ყველა ფრინველი აჰიკვიკდება, ყველა დროს სჯობნი შენ, გაზაფხულო, ეს ასე იყო, ასეც იქნება.

ახალი ცნობები

გიორგი კაკაბიძე — შიო მღვიმელის ცხოვრება, გამოცემა საბავშვოებისა.

შიო მღვიმელმა მთელი თავისი სიცოცხლე საბავშვო მწერლობას შეაღწია. მართალია, იგი წერდა ლიტერატურისა, მაგრამ მისი მოღვაწეობა სწორედ საბავშვო მწერლობით არის ცნობილი. ჯერ-ჯერობით ქართულ საბავშვო მწერლობაში შიოს ბადალი არა ჰყავს. ამ შესანიშნავ მწერალზე ამ უკანასკნელ ხანებში გამოვიდა ბავშვებისათვის საყვარელი მწერლის გიორგი კაკაბიძის ორი წიგნი: „შიო მღვიმელი“ და „შიო მღვიმელის ცხოვრება“.

ამ წიგნების გამოცემით პოეტმა გიორგი კაკაბიძემ ჩვენ ნორჩ თაობას მშვენიერი საჩუქარი მიართვა. მან თვალწინ გადაუშალა ბავშვებს საყვარელი მწერლის ცხოვრება, ის ღუხუჩი პირობები, რომლებშიც მას უხდებოდა ცხოვრება, და გვიჩვენებს აგრეთვე, თუ როგორი სიხარულით უმღეროდა შემდეგ საბჭოთა ქვეყნის ბედნიერ ბავშვებს. ასე გულისხმობდა „შიო მღვიმელი“ ჯერ არავის შეუსწავლია.

შიო მღვიმელს დიდი და პატარა ცნობის საქართველოში. დიდი სიყვარული ჰქონდა მას დამსახურებული მთელი რიგ თაობებში. ეს იმიტომ, რომ ნორჩ თაობას იგი მუდამ უღვივებდა სპეტაკ ადამიანურ გრძობებს და სიყვითისაყენ მისწრაფებას; აგრეთვე, როგორც გ. კაკაბიძე წერს, „შიოს ლექსებზე რამდენიმე თაობა აღიზარდა, ის თაობა, რომელიც ვასული საუკუნის 90-იან წლებში კითხუ-

ლობდა და სწავლობდა შიოს ლექსებს, 15-20-25 წლის შემდეგ დაეაჯიყებულნი, დასრულებულნი და ბევრი მათგანი შვილების პატრონიც იყო. ახლა ამთი შვილები იზრდებოდნენ შიოს ლექსებზე“.

აი რატომ იყო სახელგანთქმული შიო მღვიმელი. უფროსები არ ივიწყებდნენ თავიანთი მგონის სიკეთეს და პატარებზე ხარბად ეწაფებოდნენ ამ შესანიშნავი მგონის მშვენიერ, ნარნარ ლექსებს.

გ. კაკაბიძის გამოკვლევაში გაშუქებულია აგრეთვე ქართველი გამოჩენილი მწერლების მისდამი დამოკიდებულება. ისეთი დიდი მწერალი, როგორც ვაჟა-ფშაველა, შიოს შემოქმედებას პატივს სცემდა და მას ლექსიც კი უძღვნა, იგი შიოს „ბავშვთა გულის მესაიღუმელს“ უწოდებს.

გ. კაკაბიძის ამ მშვენიერი ნაწარმოებიდან ჩანს, რომ შიო მღვიმელი მუდამ მშრომელებისა და მათი შვილების გვერდში იდგა, თავისი ლექსებით იგი კაცხავდა ყოველგვარ მუქთამყლაპელებს.

წიგნში მოთავსებულია აგრეთვე შიოს სურათი სხვა ქართველ გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სახის ნარკვევები სხვა საბავშვო მწერლებზეც რომ დაიწეროს, ძალიან კარგი საქმე იქნება.

ლ. ზინინაძე





ნიკოლო ნაგაიდი

ჯიხვი და დათვი

(იგავი)

უზარმაზარი კლდიდან სადღაც შორს, უფსკრულში გადახტა ჯიხვი. ისე მოხდენილად დაეცა იგი თავით მიწაზე და ისე მკვირცხლად წამოხტა მერე, რომ იქვე მწოლარე დათვი განცვიფრებაში მოვიდა.

— აჰ, ეს შენ ხარ, ძმობილო? — წაუბუტბუტა მან თავისებურად ჯიხვს, — საკვირველია, საკვირველი, თითქო ფრინველი იყო!

— ჩვენი თავი მაგარია, ჩვენ ვიცით ხტომა და უფრო შორსაც შეგვიძლია გადავშვათ უშიშრად, — მიუგო ჯიხვმა.

— ძმობილო! თქვენ თუ იცით, მე რად არ უნდა ვიცოდე? მოდი, მასწავლე ხტომა.

— კარგო! — უთხრა ჯიხვმა. — ავიდეთ ამ უფსკრულიდან ზევით, კლდეზე და ვაღმოვხტეთო.

ორთავენი აპყვენენ დაკიდულ აღმართს. დათვი ძალიან გახარებული იყო. მთელი გზა ცეკვითა და ბუტბუტით გაიარა.

— აი ასე, აი ასე, — უხსნიდა ჯიხვი კლდეზე ასვლისას, — კისერი ოდნავ უნდა მოხარო და კეფით დაეცე ძირს. აბა, მიყურე! — გააფრთხილა უკანასკნელად და თავქვე გადაეშვა უფსკრულში.

— ღმერთო ჩემო, რა ადვილია, — თქვა თავდავიწყებულმა დათვმა, — მგონია, ციდანაც ვაღმოვხტე. და მანაც ისკუბა.

ჯიხვი უკვე ჩამხტარიყო და ელოდა დათვს. აი, სულ მალე რა ნახა მან იქ: დათვი მართლაც კეფით დაეცა სიბ ქვაზე. დაეცა და... თავიც გაიხეთქა, ტვინი მიწაზე დაენთხა.

— სულელი! — ჩაილაპარაკა ჯიხვმა და აპყვა აღმართს.

გ ა ვ შ ვ თ ა შ ი მ ი მ ე რ ე ბ ა

ჩემი სიხარული

გაზაფხულდა, და ამწვანდა, მოიქარგა მთა და ველი, ვარდმა გული გადაშალა და ბულბულიც ტკბილად მღერის.

მღერის, მღერის, ყველა ხარობს, ხავერდია ველზე შილილი, ყვავილებით დახატულა გაწოლილი ხეთა ჩრდილი.

მიყვარს, მიყვარს გაზაფხული, სურნელება მოაქვს ნიავს... გადახედეთ ლურჯ ზღვა — ჯეჯილს და კეკლუსა ბუჩქში იას.

გაზაფხულდა, გაზაფხულდა, გაიხარეთ ყველამ, ძმებო, ჩვენც ვისწავლოთ ფრიადებზე, ჩემო კარგო მეგობრებო!

შოთა ხუტაშვილი, პედსასწავლებლის მოწაფე.

